სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

31 აგვისტო 2018 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №01

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნინო გორდეზიანი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ზურაბი ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი;

თეონა კაპანაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი;

ირმა ოქროპირიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი;

ნატალია ინგოროყვა - სატენდერო კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილე პირი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსი მასწავლებლებისთვის - ჟურნალი „მასწავლებელი", და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge" - ქვეპროგრამის მენეჯერი.

სხდომას არ ესწრებოდა:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ნატალია ედიშერაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის მენეჯერი;

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, ღონისძიების ორგანიზების (79952000 - ღონისძიებების ორგანიზება) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა ჩატარებული ფასთა გამოკითხვით და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - 35500 (ოცდათხუთმეტი ათას ხუთასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:	ია ძებისაური -
სატენდერო კომისიის წევრები:	ნინო გორდეზიანი -
	ნიკო გიგოლაშვილი -
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:	ირმა ოქროპირიძე -
	თეონა კაპანაძე -
სატენდერო კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილე პირი:	ნატალია ინგოროყვა -